საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/3054
11/07/2025

3054-01-2-202507111723

მოქალაქე მანანა ნოზაძეს (პ/ნ [redacted])

მის.: ქ.თბილისი, [redacted]
ელ.ფოსტა: [redacted]com

ქალბატონო მანანა,

2025 წლის 10 ივლისის №01/4111 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (ამჟამად - სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო) (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისი განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ (შემდგომში – განცხადება).

ამასთან, პროცედურის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სააგენტო ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას კანონის, ამ პროცედურის მე-2 მუხლითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია რომ, პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის მიხედვით, განცხადება უნდა შეიცავდეს განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის სახელს, გვარს, ხელმოწერასა და განცხადების წარდგენის თარიღს. თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადება არ არის სათანადოდ ხელმოწერილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან არაუგვიანეს **5 (ხუთი) სამუშაო** დღისა, ***წარმოადგინეთ ხელმოწერილი განცხადება.*** აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

პატივისცემით,

ლევან კალანდაძე

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი